ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5301481

ნომერი: AR1804255

თარიღი : 15.02.2021

გაცემის თარიღი : 23.02.2021

გაცნობის თარიღი : 24.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჭავჭავაძის გამზირი N23ა.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: შერეული ფუნქციის მქონე ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კონსტანტინე ურუშაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ''კანალესა''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405021925

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს კანალესა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405021925
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვასილ ცოტაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024002715

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 3197463
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.04.2017

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 4155149
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.09.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2018 წლის 21 ნოემბრის N600 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს N4138396 და 2018 წლის 6 სექტემბრის N4155149 ბრძანებები იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N23ა, 01.14.14.005.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის სავაჭრო სართულის გეგმაზე (0.00 ნიშნულზე), „7-6“ ღერძებში და ტერასის გეგმაზე (+20.00 ნიშნულზე) შეთანხმდა ღიობის და ტერასის მოწყობა და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს N4138396 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა ვერ მოხდება. საჭიროა მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2018 წლის 21 ნოემბრის N600 ბრძანების გათვალისწინებით, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მშენებლობის ნებართვის გაცემა.
საჭიროა ამავე განაცხადზე ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და მოითხოვოთ არქიტექტურული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ერთად.
ნომენკლატურის შეცვლის შემდეგ დამატებით წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ასევე სხვადასხვა ხედიდან გადაღებული განახლებული ფოტომასალა თარიღის მითითებით;

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.